ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე

გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. შ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:11.09.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 072/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ს. ჯ.-ის მიმართ სიითი /№/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. ჯ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 11 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. შ.-მ და მოითხოვა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატ ს. ჯ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას ჰქონდა ვალთან დაკავშირებული დავა გულვარდი ვარდოსანიძესთან 3-4 წლის განმავლობაში. მისი ბინა იყო იპოთეკით დატვირთული, თანხა კი გასესხებული ჰქონდა რამდენიმე თვით. მოგვიანებით, საჩივრის ავტორმა დააპირა სახლის ყიდვა და მოითხოვა გასესხებული თანხის დაბრუნება, მაგრამ არ დაუბრუნეს. მისივე სახლი ჩაადებინეს იპოთეკაში და დაპირდნენ, რომ პროცენტებს გადაუხდიდნენ, თუმცა ესეც ტყუილი აღმოჩნდა და მას მოუწია პროცენტების გადახდა 3 წლის განმავლობაში.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა, ს. ჯ.-მ დაურეკა მას და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, კერძოდ „გამომძალველი“ და „პრასტიტუტკა“ უწოდა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა შეხვედრისას ბოდიში მოუხადა მას შეურაცხყოფისთვის, თუმცა მობოდიშების შემდეგ კვლავ მიაყენა შეურაცხოფა. აღსანიშნავია, რომ ადვოკატი სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა არა მხოლოდ მას, არამედ შეურაცხმყოფელი სიტყვებით იხსენიებდა თავის კლიენტებს. იგი იყო ალკოჰოლდამოკიდებული და 24 საათის მანძილზე იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში.

1.4 საჩივრის ავტორი მოითხოვს, ადვოკატ ს. ჯ.-ს დაეკისროს ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2017 წლის 19 ოქტომბერს ადვოკატმა ს. ჯ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც ის უარყოფს მ. შ.-ს მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფატს.

2.2 ადვოკატის განცხადებით, იგი შეხვდა მ. შ.-ს და უთხრა, რომ იცავდა მისი მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს. განუმარტა, რომ სარჩელი შეჰქონდა სასამართლოში მის წინააღმდეგ და რამდენიმე დღეში, მან მართლაც შეიტანა აღნიშნული სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამ დროს მისაღებში დახვდა მ. შ. და მოითხოვა სარჩელის გადაცემა, უარის მიღების შემდეგ კი კოლეგების თანდასწრებით დაუწყო ლანძღვა და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის პრეტენზია უსაფუძვლოა და გამოწვეულია იმით, რომ იგი იცავს მისი პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ს. ჯ. არის ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი, /სიითი /№/ სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის“ წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 მ. შ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2017 წლის 11 სექტემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016-2017 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლის მე–2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ს. ჯ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 30–ე მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატ ს. ჯ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა სატელეფონო საუბრისას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მას და „პრასტიტუტკა“ უწოდა.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ს. ჯ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის ,,ბ'' ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები“.

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–9 მუხლის პირველი ნაწილი: ,,ადვოკატი, რომელიც მონაწილეობს საქმეში საქართველოს ან უცხო ქვეყნის სასამართლოს ან ტრიბუნალის წინაშე, ვალდებულია დაიცვას და პატივი სცეს ამ სასამართლოში თუ ტრიბუნალში მოქმედ ქცევის წესებს.“

5.3 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატის მიერ პროცესუალური მოწინააღმდეგისათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატმა ნებისმიერ ვითარებაში უნდა შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, გამოიჩინოს მოთმინება და პატივი სცეს თავის საქმიანობას. ადვოკატი არ უნდა მოიქცეს იმგვარად, რაც შეუფერებელია ადვოკატის პროფესიის სტატუსისათვის, უნდა შეეცადოს თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მაღალ როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას.

5.4 საპროცესო კოლეგია უთითებს, რომ ადამიანის უფლებათა შორის სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა. აღნიშნული დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილისა და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუმცა, იგი ექვემდებარება ამავე მუხლებით დადგენილი უფლების შეზღუდვის საფუძველს. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ,,ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის... თავისუფლება.“ საქართველოს კონსტიტუციის 24-ე მუხლით აღიარებულია ყველა ადამიანის უფლება „თავისუფლად გამოთქვას და გაავრცელოს აზრი ზეპირად, წერილობით და სხვა საშუალებით.“ საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 ნაწილისა და 24-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად სიტყვისა და გამოხატვის უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ იგი ლახავს სხვათა უფლებებს ან ღირსებას.“

5.5 საპროცესო კოლეგია მხარეთა პოზიციებზე დაყრდნობით დადგენილ ფაქტად მიიჩნევს, რომ 2016-2017 წლებში საქალაქო სასამართლში ერთმანეთს შეხვდნენ მ. შ. და ადვოკატი-ს. ჯ.. ს. ჯ. წარმოადგენდა მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს. მომჩივანის პოზიციის თანახმად, მისი შეურაცხყოფა სატელეფონო საუბრის შემდეგ ს. ჯ.-მ სასამართლოში შეხვედრის დროსაც გააგრძელა. ადვოკატი კი ამტკიცებს, რომ, პირიქით, მ. შ.-მ მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა თავისი კოლეგების თანდასწრებით. ადვოკატი ს. ჯ. ეთიკის კომისიაში 2017 წლის 19 ოქტომბერს წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით უარყოფს მოქალაქე მ. შ.-სათვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს.

5.6 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე,“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები.“ საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე.

5.7 საპროცესო კოლეგიის დასაბუთებული ვარაუდისათვის საკმარისი საფუძვლის შესაქმნელად, საჩივრის ავტორს წერილობითი და ზეპირი პოზიციის გარდა არ წარმოუდგენია სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის მიერ მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს, ხოლო ამ ფაქტს ადვოკატი წერილობითი განმარტებით უარყოფს. შესაბამისად, ადვოკატ ს. ჯ.-ის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა არ დასტურდება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე–5 მუხლის ,,ბ'' ქვეპუნქტით, 32–ე და 33–ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–9 მუხლის პირველი ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N072/17 ადვოკატ ს. ჯ.-ის მიმართ, სიითი N/№/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე /ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი /გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი /თორნიკე ბაქრაძე/